ოლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 18 მარტი 1925 წ. | წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

59 (747) 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა. ტელ. 2—24

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

**პარიზის კომუნის დღეს ნუ დავივიწყებთ დაპატიმრებულ მებრძოლებს მუშათა კლასის საქმისათვის! მუშებს და მუშა-ქალებს! 18 მარტს აღიმაღლეთ თქვენი საპროტესტო ხმა თეთრი ტერორის, ფაშისტურ სიმხეცის, ბურჟუაზიულ ჯალათების წინააღმდეგ!**

## პარიზის კომუნა

1871 წელს 18 მარტს პა-
ის ქუჩები შესძრა გამარ-
ჟულ მუშების მქუხარე ძა-
მა: „გაუმარჯოს კომუნას“.
იზის აჯანყებულმა მშრომ-
მასებმა გარეკეს საფრან-
ის დედაქალაქიდან გამ-
ლური ბურჟუაზიული მთავ-
ბა და თვით აიღეს ძალა-
ლება ხელში. ეს იყო პრო-
ტარული რევოლიუციის პი-
ლი ცდა. მიუხედავათ იმი-
რომ ისტორიას ჯერ კიდევ
ჰქონდა მომზადებული ობ-
ტიური პირობები პროლე-
ული დიქტატურისა თვის, მი-
დავათ იმისა, რომ თვით
უნარებმა ჩაიდინეს მთელი
ი უდიდესი შეცდომებისა,
რთან ბრძოლაში,—პარიზის
უნამ მაინც იარსება სამოც-
თორმეტი დღე.
მ თავისი ხანმოკლე არსე-
ბით კომუნამ ნათლად დაამ-
ცა ის ჭეშმარიტება, რომ
ათა კლასს შეუძლია საზო-
ოებრივ ცხოვრების გაძღო-
, რომ მომავალი პროლე-
რიატისაა და თვით პროლეტა-
ლი დიქტატურა არის არა
ღწეველი ოცნება, არამედ
რი-ახლოს სინამდვილე. თა-
2 ნახ. თვის ბატონობით
იზის კომუნამ მოგვცა პირ-
ი ნიმუში მუშური სახელ-
ფოსი. მან პირველად გაა-
ა მუდმივი ჯარი და გამო-
ადა ხალხის შეიარაღება;
ამორა სახელმწიფოს ეკლე-
და სასულიერო წოდებას
ართვა მიწები, რომლებიც
ოაცხადა ხალხის საკუთრე-
; გასცა ბრძანება ბურჟუა-
ს ფაბრიკა-ქარხნების კონ-
კაციის შესახებ; გააუქმა
ის ქირა, ხოლო შემდეგ
მცირა ის; აკრძალა დაგირა-
ულ ნივთების გაყიდვა ლო-
რდიდან და სხვა.
მაგრამ პარიზის კომუნამ აგ-
რვე იმის თვალ-საჩინო გაკ-
ილიც მისცა პროლეტარი-
, თუ როგორ არ უნდა იმ-
მედოს მან, როცა რევოლ-
იონური გზით სახელმწი-
ს სათავეში მოექცევა.
პარიზის კომუნა ძლიერ ლმო-
ერი აღმოჩნდა თავისი კლა-
ბრივ მტრების მიმართ; მან
უალება მისცა მტრებს მო-
არა თავისი ბანკები, რომ-
ედან გამოტანილი ფულით
რჟუაზიამ შექმნა ჯარი და
ამარცხა კომუნა. ესა და
ა მრავალი შეცდომები გახ-
ნ პარიზის კომუნის დამარც-
ბის მიზეზები. მაგრამ უმთავ-

რესი იყო ის, რომ კომუნას არ ყავდა რევოლიუციონური პარტია, რომელიც გაუწევდა მას ხელმძღვანელობას და ბოლოს მოუღებდა შიგნითა უთანხმოებას და დავას. კომუნას არ ჰქონდა არც ერთიანი სამოქმედო პროგრამა; ყოველივე ეს ასუსტებდა მის ძალებს და ხელს უწყობდა შემცდარ ნაბიჯების გადადგმას.

26 მაისს უთანასწორო ბრძოლაში თავის მრავალრიცხოვან მტერთან გმირულად დაეცა პარიზის კომუნა.

აუწერელია ის სიმხეცე და სიმკაცრე, რომლითაც გაუმასპინძლდა გამხეცებული ბურჟუაზია დამარცხებულ მუშათა კლასს.

მდინარე სენა წითლად შეიღება დახოცილ კომუნარების სისხლით.-40.000 მუშა შეიწირა ბურჟუაზიამ. ამით ბურჟუაზიას სურდა სამუდამოთ ჩაეკლა მშრომელთა მასებში განთავისუფლების წყურვილი.

პარიზის კომუნა კომუნიზმის პირველი მერცხალი იყო.

მან სოციალისტური გაზაფხული ვერ მოიყვანა, მაგრამ აუწყა კაცობრიობას მისი მოსვლის აუცილებლობა. პარიზის კომუნა დამარცხდა, მაგრამ მისი იდეა არ მომკვდარა.

ნახევარ საუკუნის შემდეგ კომუნისტური დროშა კვლავ აფრიალდა მაღლა რუსეთის პროლეტარიატის ხელში, რომელმაც პარიზის კომუნარების იდეას შეასხა ხორცი დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე, გამოიყენა რა ყველა მისი შეცდომები და მიღწევები.

პროლეტარული დიქტატურა შეიქმნა დღეს აგრეთვე მსოფლიოს მუშათა კლასის და ყველა დაჩაგრულთა უახლოესი ამოცანა. პროლეტარული რევოლიუცია დამარცხებული 1871 წელში კვლავ იკრებს ძალებს არა თუ მარტო პარიზში, არამედ დედამიწის ყველა კუთხეში. მისი ძალებია მსოფლიო პროლეტარიატის და აღმოსავლეთის ჩაგრულ მასების უთვალავი არმია ამხედრებული კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

შორს არ არის ის დრო, როცა რევოლიუციონური დასავლეთი კომინტერნის მეთაურობით რევოლიუციონურ აღმოსავლეთთან გაანადგურებს კაპიტალისტურ სამეფოს და მთელ მსოფლიოზე აფრიალებს კომუნის წითელ დროშას.

## პარიზის კომუნა და მისი გაკვეთილები.

მეტი მიწების დაპყრობა, მეტი გამდიდრების წყურვილი და რაც შეიძლება უფრო მძლავ-



ლუი-შარლ დელეკლიუზი. კომუნის წევრი, სამხედრო საქმეთა რწმუნებული, დაიღუპა ბარიკადებზე.

რიდ კლანჭების გაყრა მშრომელი ხალხის ტანში, ახასიათებს ბურჟუაზიას და ამ მიზნების ერთგული მაშინდელი საფრანგეთის იმპერია, ეჩხება ძლიერ მოწინააღმდეგეს, მონარქისტულ გერმანიის სახით, რომ საბოლოოთ გადაჭრილიყო კითხვა: თუ რომელ მათგანს ებატონა ევროპის სივრცეზე! ჩაღდება ომი, რომლის მთელი სიმძიმე, როგორც ყოველთვის აწვება ხალხს.

ავანტიურისტული მთავრობის წყალობით და უნიჭო ღენერლების მეოხებით, საფრანგეთისათვის, ეს ომი, დამარცხებით თავდება და მისი სიმაგრეები ერთი მეორეზე ემხობა გერმანიის ხიშტების წინ. რომ



ლუიზა მიშელ
ქალი კომუნარი.

თავი ეხსნა განადგურებისაგან, პარიზის მუშათა კლასი იძულებული გახდა ხელთ აეღო სახელმწიფოს სვე-ბედი. და აი, გმირი პარიზის პროლეტარიატი 1871 წ. 18 მარტს ძირსა სცემს კაპიტალისტების მთავრობას და აღგენს კომუნას.

კომუნის აჩრდილით დამფრთხალი ბურჟუაზია, სასწრაფოდ ჰკრავს სამარცხვინო ზავს და მთელი თავის სიმძიმე და „სიმამაცე“ გადააქვს პარიზის მშრომელების წინააღმდეგ. არანაკლებ დამფრთხალი სხვა ქვეყნების ბურჟუაზიაც ენერგიულად ეხმარება მას და პარიზის კომუნა, ორ თვე ნახევრის თავგანწირული ბრძოლის შემდეგ, გარემოცული უამრავ მტრის ძალებით ძირს ეცემა.

გაუმაძღარი ბურჟუაზია ნამდვილ ნადირობას ახდენს პარიზის პროლეტარიატზე, ის ქუჩებში ხოცს ათასობით ხალხს; ქლეტს მოხუცებს, ქალებს და ბავშვებს; ის ცეცხლს უკიდებს მუშათა ბუნებს,—დასცინის დახოცილთა გვამებს და აწამებს დაჭრილებს და ბოლოს დამშვიდებული, ზეიმით აცხადებს, რომ პარიზის კომუნა საბოლოოთ დაემხო და ჩაკვდა საკუთარ სისხლშივე, რის შემდეგ იგივე ბურჟუაზია ორთვენახევრის შეშფოთებული ცხოვრების შემდეგ, თავდავიწყებით ეძლევა ქეიფს და გარყვნილებას.

მიუხედავათ იმისა, რომ უთანასწორო ბრძოლაში დაიხოცა ოცდა ათიათასზე მეტი პარიზის კომუნარები და ამდენივე დაიხვრიტა ან ამოლპა საფრანგეთის ციხე-საკნებში; და მიუ-



ჟ. პ. მილიერი.
მუშა, პოლიტიკური მოღვაწე დაიხვრიტა 1871 წ. 26 მაისს.

ხედავათ იმისა, რომ საზიზღარი მტარვალი გამარჯვების შემდეგაც სანთლით ეძებდა გადარჩენილ კომუნარებს, რომ შემდეგ დაეხვრიტა ან ციხეში ჩაელპო ისინი,—პარიზის კომუნა მაინც არ მოკვდა და ის მანც სცოცხლობს. ის სცოცხლობს თვითეული მშრომელის გულში და მან ფრთები შეისხა ჩვენში. ის დროშა, რო-

## დაეხმარე რევოლიუციის მებრძოლთ და მათ ოჯახებს.

ვდღესასწაულობთ რა პარიზის კომუნის დღეს, ჩვენ ამავე დროს არ შეგვიძლია გვერდი აუხვიოთ იმ კომუნარების უმწეო მდგომარეობას, რომლებიც შეუდრეკლად ებრძვიან კაპიტალისტურ სამეფოს და დღეს დღეობით გამომწყვდეული არიან ბურჟუაზიულ ციხე-სარდაფებში.

რევოლიუციონური ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ უამრავ მსხვერპლს მოითხოვს პროლეტარიატისაგან, არა ერთი და ორი ათასი, მუშათა კლასის საუკეთესო შვილები შეეწირა პროლეტარიატის განთავისუფლების საქმეს, არა ერთი და ორი ათასი გაწყდება მომავალშიც მსოფლიო რევოლიუციის საბოლოო გამარჯვებამდე.

საერთაშორისო ბურჟუაზია ისეთივე სისასტიკით, ვიტყვით უფრო მეტად, უმასპინძლდება დღეს რევოლიუციის მებრძოლთ, როგორც ეს იყო პარიზის კომუნის დამარცხების დროს.

გრძნობს რა თავისი ისტორიული აღსასრულის მოახლოებას გამხეცებული ბურჟუაზია მძაფრი თეთრი ტერორის გაჩაღებით სცდილობს თავისი ბატონობის გაგრძელებას და პროლეტარული რევოლიუციის ტალღების შეჩერებას. დახვრეტა, კატორღა, სახრჩობელა, ქურდულად კუთხიდან მოკლა, მუშათა ორგანიზაციების დარბევა, რევოლიუციონერების ოჯახების აწიოკება, ქალების გაუპატიურება, პატიმარ რევოლიუციონერების წამება და სხვა მრავალი საშინელი სასჯელი-აი ყველაფერი ის, რითაც ებრძვის ბურჟუაზია ამხედრებულ მუშათა კლასს. ამ საქმეში მას დიდის გულმოდგინებით ხელს უწყობს გამყიდველი სოციალ-დემოკრატია და მთელი მეორე ინტერნაციონალი. გარდა ამისა ბედის ანაბარა ულუკმაპუროთ ყრია ქუჩაზე პატიმარ და დახოცილ რევოლიუციონერების ოჯახები. ამიტომაც სწორედ დღევანდელ მომენტში, როცა სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაა გამართული დამყაყებულ კაპიტალისტურ სამეფოს წინააღმდეგ, საჭიროა ინტერნაციონალური სოლიდარობა მუშათა კლასის და ენერგიული დახმარება რევოლიუციის მებრძოლთადმი და მათ ოჯახებისადმი.

რემედასი არის ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება კაპიტალის ტყვეობაში მყოფ რევოლიუციონერების და მათ ოჯახების დახმარების საქმეს. რამდენათ მეტი ყურადღება ექნება მიქცეული ჩვენს მიერ რემედასს, რამდენათ ის უფრო ძლიერი იქნება თავისი მატერიალური წყაროებით, იმდენათ უფრო მეტად შეუმსუბუქებს მძიმე მდგომარეობას კაპიტალის მონობაში მყოფ რევოლიუციონერებს.

ამიტომაც ჩვენ უნდა გავაძლიეროთ რემედასის ორგანიზაციები, შეუწყოთ ხელი მისი ქსელის გაფართოებას და მივაზიდოთ მის რიგებში ყველა მუშა, გლეხი, წითელ-არმიელი და პატიოსანი მოქალაქე. ამით ჩვენ გაუწევთ ზნეობრივ და მატერიალურ დახმარებას ჩვენ თანამოძმე—კაპიტალის ტყვე რევოლიუციონერებს.

და რამდენათ ძლიერი იქნება ჩვენი თანაგრძნობა და დახმარება მათდამი, იმდენათ შეუპოვარი და ძლიერი იქნება მათი შეტევა კაპიტალზე.

**გავაძლიეროთ რემედასი!**

—ე.

**„წყევლა და კრულვა მუშათა კლასის ჯალათებს, დახმარება ციხეში გამომწყვდეულ მებრძოლთ და მათ ოჯახებს აი სახე საერთაშორისო კლასობრივი სოლიდარობისა.“**

მელიც ამოლბა კომუნარების სისხლში, დღეს ჩვენშია გადმოტანილი და ამაყადა ფრიალებს ქვეყნის ერთ მეექვსედ ნაწილზე და სრულიადაც არ ფიქრობს ამით დაკმაყოფილებას. ის საქმე, რომელიც დაიწყეს პარიზის კომუნარებმა—დღეს ხორც შესხმულია ჩვენში და ასეთივე ხორცს ისხამს მთელ მსოფლიოზე.

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი გმირი წინაპრებით და ვაფასებთ მათ.

ჩვენ თავს ვიხრით მათი უკვდავი სახელის წინაშე და აღთქმას ვსდებთ, რომ ყოველთვის მაღლა ავსწევთ მათ დროშას. ჩვენ ვისარგებლებთ პარიზის კომუნარების გამოცდილებებით. ჩვენ რევოლიუციონურ ბრძოლაში ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

მათ დასცეს ბურჟუაზიის ბატონობა, მაგრამ არ გამოგლიჯეს მას ისეთი მატერიალური საშვალება, როგორიც არის ბანკი. ჩვენ აღუთქვამთ მტარვალებს, რომ ყველგან და ყოველთვის, მთლიანად დავეპატრონებით ამ მის ერთმთავარ სიმაგრეთაგანს.

მათ მცირე ყურადღება მიაქციეს გლეხობას და მით ჩამოიცილეს—საუკეთესო მოკავშირე—ჩვენ განუყრელნი ვართ გლეხობასთან და მათთან ერთად დავამყარებთ სოციალიზმს.

მათ რბილათ მოექცნენ დარჩენილ ბურჟუაზიას, ჩვენ წითელი ტერორით ჩავკლავთ ყოველივე მათ ცდას მიმართულს მუშების და გლეხების ინტერესების წინააღმდეგ. მათ უპასუხოდ დასტოვეს შეთანხმებლები, ეს იმ დროის მენშევიკ ესერები.-ჩვენ ყველგან და ყოველთვის სასტიკად ვიბრძოლებთ ამ ბურჟუაზიის საზიზღარ ლაქიების წინააღმდეგ.

გამოუსწორებელი შეცდომა ჩაიდინეს, რომ დაუყონებლივ თავს არ დაესხენ ვერსალში გაქცეულ ბურჟუაზიას. ჩვენ გარანტიას მივსცემთ მტერს, რომ სულ განადგურებამდის, შეუსვენებლივ ვსდევთ მათ.

და ბოლოს, მათ ვერ შეაფასეს ჯარში დისციპლინის მნიშვნელობა და ვერ გააერთიანეს სარდლობა.—ჩვენი წითელი არმია თავდებია იმის, რომ მუშათა კლასი არასოდეს არ გაიმეორებს იმ უდიდეს შეცდომას.

წითელ არმიელო—მეთაურნო და პოლიტშემადგენლობავ, მაღლა ასწიეთ კომუნარების დროშა!

**გ. ფოფხაძე.**

**„ქალონიების ციხეებში გამომწყვდეული არიან ათიათასობით რევოლიუციონერები, მუშები და გლეხები. დღევანდელ დღეს ნუ დაივიწყებ მათ და გაუწოდე ძმურად დახმარების ხელი."**

# სუნ-იატ-სენის სახსოვრად.

## საზეიმო სხდომა კავშირთა სახლში.

16 მარტს კავშირთა სახლში შესდგა საზეიმო სხდომა სუნ-იატ-სენის სახსოვრად.

მოხსენება გააკეთა ამხ. რადეკმა, რომელმაც დაახასიათა სუნ-იატ-სენის მოღვაწეობა.

საფრანგეთის კომპარტიის სახელით ილაპარაკა ამხ. კაშენმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ერთად-ერთი კოლონიალური ერების მეგობარი არის კომპარტია.

რევოლიუციონური ჩინეთის სახელით ილაპარაკა ჩენ-ჩისუმ, ინდოეთის კომპარტიის სახელით როიმ და ინგლისის კომპარტიის სახელით გალახერმა, რომელმაც აღნიშნა რუსეთის რევოლიუციის ძლიერი გავლენა ინდოეთსა და ჩინეთზე.

კრებამ მიიღო მოწოდება ჩინეთის მშრომელთადმი, რომელთაც მოსკოვის მუშები თანაგრძნობას უცხადებენ სუნ-იატ-სენის გარდაცვალების გამო.

# მიტინგი ლენინგრადში.

გაიმართა სუნ-იატ-სენის საპატივცემო მიტინგი. მიტინგს დაესწრო მრავალი წარმომადგენელი ჩინეთიდან და აღმოსავლეთიდან.

გაეგზავნა თანაგრძობის დეპეშა სუნ-იატ-სენის ოჯახს.

# ამნისტია

## დადგენილება № 13

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**საბჭ. სოც. რესპ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიის ამნისტიის განხორციელების შესახებ.**

საბჭ. სოც. რესპ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიის მიერ დაპატიმრებულთა ხვედრის შემსუბუქების შესახებ, ამა წლის მარტის 7-ს თარიღით გამოცემული დადგენილების შესასრულებლად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: განსაზღვრულ იქნეს შემდეგი წესი აღნიშნულ დადგენილების განხორციელებისათვის:

1. ამნისტიის, იმ გლეხთათვის შესაფარდებლად, რომელთაც სასამართლოს ან ადმინისტრატიულ ორგანოს განაჩენით ან დადგენილებით დაედოთ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გაუსტუმრებლობისა ან ვადაზე შეუტანლობისათვის—პიროვნული ან ქონებრივი სასჯელი, აგრეთვე შინა მრეწველთათვის—სახელმწიფო და ადგილობრივი გამოსაღების გაუსტუმრებლობისა და ვადაზე შეუტანლობისათვის—მოეწყოს სამაზრო და საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტებთან კომისიები შემდეგი შემადგენლობით: სამაზრო (ან საქალაქო) აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის ერთი წევრი, ერთ-ერთი სახალხო მოსამართლე, (ქ. ქ. ტფილისში და ქუთაისში კი ოლქის სასამართლოს ერთი წევრი) და სამაზრო საფინანსო განყოფილების ერთი წარმომადგენელი, პირველი მათგანის თავმჯდომარეობით და პროკურორის სამაზრო თანაშემწის მეთვალყურეობით—ადგილობრივ და ოლქის პროკურორისა ქ. ქ. ტფილისში და ქუთაისში.

2. იმ გლეხებს და შინამრეწველთ, რომელთაც ა. წ. მარტის რვამდე არ შეუსრულებიათ კანონის ის მოთხოვნა, რაც ამა დადგენილების 1 მუხლში, ხოლო რომელთა საქმეც ჯერ კიდევ არ განხილულა, ამნისტია შეეფარდებათ სათანადო სასამართლო და ადმინისტრატიული ორგანოს დადგენილებით.

შენიშვნა: მეორე პუნქტში აღნიშნულ პირებს სასამართლო დაწესებულებაში ამნისტია შეეფარდებათ სასამართლოს გამწესრიგებელ სხდომის დადგენილებით.

3. ამნისტიის შეფარდება იმ მოქალაქეთათვის, რომელთაც მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა კონტრ-რევოლიუციონური და რელიგიური მოტივებით ჩადენილ დანაშაულის გამო, აგრეთვე იმ მოქალაქეთათვის, რომელთაც აღნიშნული დანაშაული ჩაიდინეს ამა მარტის რვამდე, ხოლო მათი საქმე წინასწარ გამოძიების და მოკვლევის სტადიაშია, მოეწყოს განსაკუთრებული კომისიები ქალ. ტფილისსა, ქუთაისსა და ბათომში, ხოლო მაზრებში კომისიები—ადგილობრივ პოლიტიკურ ბიუროსაგან; ამ უკანასკნელ კომისიებში შევლენ: სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, პოლიტიკური ბიუროს თავმჯდომარე და საოლქო სასამართლოს სამაზრო რწმუნებული პირველი მათგანის თავმჯდომარეობით.

4. სასჯელის ვადის ნახევრად შემცირება იმ მუშისა, გლეხისა, წითელარმიელისა და სამხედრო მსახურისათვის, რომელიც მსჯავრ დადებულია ყველა დანაშაულის გამო, გარდა 1-ლ და მე-3 მუხ. აღნიშნულ დანაშაულისა, მოხდება იმ სასამართლო (გამწესრიგებელი სხდომის) და ადმინისტრატიული ორგანოს განკარგულებით, რომლის განაჩენითაც ან დადგენილებით ესა თუ ის პირი იხდის სასჯელს.

შენიშვნა: უკეთუ დაწესებულება, რომლის განაჩენითაც ან დადგენილებით მსჯავრდადებული იხდის სასჯელს, გაუქმებულ იქნა, სასჯელის ვადას შეუმცირებს იმ ადგილის სათანადო დაწესებულება, სადაც იგი სასჯელს იხდის.

5. მე-4 მუხლ. აღნიშნულ პირთათვის სასჯელის ვადის ნახევრად შემცირება მოხდება იმ ძირითადი ვადის მიხედვით, რაც განსაზღვრული იქნება სასამართლოს ადმინისტრატიული ან საგანგებო კომისიის ორგანოს მიერ, სასჯელის იმ ნაწილის ჩათვლით, რაც უკვე მოხდილია; ეს შემცირება გავრცელდება ყველა გვარისა და სახის სასჯელზე, რაც გადაწყვეტილია ვადით, როგორიც არის: თავისუფლების აღკვეთა, თავისუფლების პირობითი აღკვეთა, იძულებითი მუშაობა და უფლების შეზღუდვა.

შენიშვნა. მე-5 მუხ.—აღნიშნული სასჯელის ვადის შემცირება არ შეეფარდება რეციდივისტებს, რომელთაც დანაშაული ორჯერ მეტი ჩაუდენია.

6. ყველა საპატიმრო ად[...] ლის უფროსს, აგრეთვე ი[...] ლებითი მუშაობის ბიურ[...] დაევალება, სამი დღის გან[...] ლობაში ამა დადგენილების [...] მოქვეყნებიდან, წარუდგინ[...] სათანადო სასამართლოს, ად[...] ნისტრატიული და საგანგ[...] კომისიის ორგანოს სია იმ [...] რთა, რომელნიც იხდიან ს[...] ჯელს.

7. ამა დადგენილების მ[...] პუნქტში აღნიშნულ პირთ, [...] მელთაც დანაშაული ჩაიდი[...] მარტის 8-ე, ხოლო რომელ[...] საქმეც წინასწარი წარმოე[...] სტადიაშია, სასჯელის ვა[...] შემცირება შეეფარდება საქ[...] არსებითად განხილვის შ[...] დეგ.

8. იმ საქმის გამო, რო[...] ლიც საკასაციო წარმოე[...] სტადიაშია, სასჯელის ვა[...] შემცირებას შეუფარდებს სა[...] საციო ინსტანცია, როდეს[...] საკასაციო საჩივარი ან პრ[...] ტესტი დატოვებულია უშე[...] გოდ და საქმის ხელმეორ[...] არსებითად განხილვის შემდ[...] როდესაც განაჩენი გაუქმებ[...] ლია.

9. საჩივარი ამნისტიის შე[...] ფარდებლობისა ან არა სწო[...] შეფარდების გამო შეტან[...] უნდა იქნეს რესპ. პროკურ[...] რის სახელზე, რომელსაც და[...] კისრება საერთო მეთვალყურ[...] ობა ხსენებული ამნისტიის გა[...] ხორციელებისათვის.

სრულიად საქართველოს [...] ბჭოთა ცენტრალური აღმასრ[...] ლებელი კომიტეტის თავმჯდ[...] მარის მაგიერ **ლ. სუხიშვილ[...]**

სრულიად საქართველოს [...] ბჭოთა ცენტრალური აღმა[...] რულებელი კომიტეტის მდ[...] ვანი.

**ს. თოდრია.**

**1925 წ. მარტის 16.**

ტფილისი—სასახლე.

# მუშათა საერთაშორისო ერთსულოვნება.

**პროფინტერნმა ძმური სალამით მიმართა ლომბარდი[...] გაფიცულ მეტალისტებს და გადასცა მათ 50.000 ლი[...] ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის გასაგრძელებლად.**

# 1871 წლის პარიზის კომუნა.

54 წლის უკან საფრანგეთის მუშათა კლასმა პირველად შეეცადა აეღო პოლიტიკური ძალა-უფლება და დაემყარებია თავისი დიქტატურა. მაგრამ კომუნა ჩახშობილი იქნა პარიზის მუშებისა და ხელოსნების სისხლის მორევში. პარიზის კომუნა დაეცა, მაგრამ 46 წლის შემდეგ ის აღსდგა საბჭოთა რუსეთის სახით. ჩვენ უნდა ვიცოდეთ კომუნის შეცდომები და ანგარიში უნდა გაუწიოთ მას მსოფლიო რევოლიუციისთვის ბრძოლაში.

**18 მარტი.**

1851 წელს საფრანგეთის ტახტზე ავიდა ნაპოლეონ მე-3-ე, რომლის პოლიტიკა სამხედრო ავანტიურებში გამოიხატებოდა.

მისი ექსპედიცია მექსიკაში სამარცხვინოდ დასრულდა. რომ გაემტკიცებია იმპერიის მდგომარეობა ნაპოლეონმა დაიწყო ომი პრუსიის წინააღმდეგ. ამ ომმა სრულიად გამოამჟღავნა იმპერიის სისუსტე. დამარცხება დამარცხებას მოსდევდა.

პარიზის მშრომელებმა გაითვალისწინეს შექმნილი მდგომარეობა, მოახდინეს გადატრიალება და გამოაცხადეს რესპუბლიკა. მაგრამ გამარჯვების ნაყოფით ისარგებლეს ჟანდარმებმა და სოციალიზმის მოსისხლე მტრებმა. მათ შეიარაღებული მუშების უფრო ეშინოდათ, ვინემ საფრანგეთის დამარცხების.

ტიერის მთავრობამ არავითარი ზომები არ მიიღო პარიზის დასაცავად გერმანელებისაგან. მუშების მოთხოვნილებით მთავრობა იძულებული გახდა შეეიარაღებია პარიზი და შეექმნა ეროვნული გვარდია. მაგრამ მთავრობის მთავარი ცდები მიმართული იყო პარიზის განიარაღებისაკენ.

პარიზის მშრომელები მოითხოვდენ ბურჟუაზიული მთავრობის გადადგომას, მაგრამ ამაოდ. რომ გასწორებოდა პარიზის მუშათა კლასს, ტიერის მთავრობამ ხელი მოაწერა დროებითი ზავს გერმანიასთან. მიუხედავად ყოველგვარ ხელსაყრელი პირობებისა საფრანგეთის მხრივ, გერმანიამ ვერ მოითხოვა მაინც ეროვნული გვარდიის განიარაღება. პარიზის მუშები არ დაჰყრიდენ იარაღს უბრძოლველად.

მაშინ ტიერი სცდილობს ხელში ჩაიგდოს ეროვნული გვარდიის არტილერია. პარიზი აჯანყებით უპასუხებს. რეგულიარული ჯარები მხარს უჭერენ გვარდიას. გაიმარჯვა ეროვნულმა გვარდიამ. ტიერის მთავრობა გაიქცა ვერსალში. ეროვნულმა გვარდიამ გამოუშვა მოწოდება და 18 მარტს პარიზის პროლეტარიატმა გამოაცხადა თავისი ძალა-უფლება. **მუშათა კლასმა პირველად გადასდგა პრაქტიკული ნაბიჯი თავისი ბატონობის განხორციელებისათვის.**

**პარიზის კომუნის შეცდომები და დამსახურება.**

ძალა-უფლება ეროვნულ გვარდიის ცეკას ხელში მოექცა. მაგრამ მან ვერავითარი ზომები ვერ მიიღო, რათა დამარცხებულ მთავრობას კვლავ არ წამოეყო თავი. კომუნის საბჭომაც გაუბედავი პოლიტიკით ბევრი შეცდომა დაუშვა. მან ვერ გადასწყვიტა გამოეცხადებია თავი მთელი საფრანგეთის მთავრობად და დიდხანს სთვლიდა თავს მხოლოდ პარიზის მთავრობად.

სხვა სამრეწველო ქალაქები, რომლებიც ცდილობდენ კომუნის გამოცხადებას, პარიზის დახმარებას მოკლებულნი, მალე იქნენ დამარცხებული ტიერის მთავრობის მიერ. კომუნის საბჭომ ვერ დაიცვა პარიზი, ვერ აწარმოა შეტევა ვერსალზე და ვერ მიიღო ზომები კონტრრევოლიუციონერების წინააღმდეგ.

მაგრამ იმავე დროს კომუნა ატარებდა მუშური მთავრობის სახეს. მან თავისი დროში **მსოფლიო რესპუბლიკის დროშად გამოაცხადა.**

პარიზის კომუნა ნამდვილი იაფი მთავრობა იყო საფრანგეთში არსებულ მთავრობებს შორის. მაგრამ იმავ დროს ის იყო ნამდვილი შრომის მოყვარე. კომუნის წევრებმა გამოიჩინეს იშვიათი შრომის მოყვარეობა, ენერგიულობა, ერთგულება და საქმისადმი თავდადება.

ისინი მამაცურად იბრძოდენ ბარიკადებზე და თავისი შეუდრეკლობით ამხნევებდენ მებრძოლთ, კომუნის ბელადთა უმეტესობა დაიღუპა კომუნის გულისთვის.

**კომუნის დაღუპვა და თეთრი ტერორი.**

მუშათა მოძრაობის სისუსტემ, მუშათა კლასის შეუკავშირებლობამ, ძლიერი მუშათა პარტიის უყოლობამ გამოიწვია კომუნის დამარცხება. შეცდომებმა დააჩქარეს მისი დაღუპვა.

ტიერმა ისარგებლა კომუნის სისუსტით და შეჰკრიბა დიდძალი არმია. გენერალმა გალიფემ შემოუტია პარიზს.

გმირულად იბრძოდა ეროვნული გვარდია, მაგრამ არ არსებობდა სამხედრო ხელმძღვანელი ცენტრი. კომუნარებმა შესძლეს მხოლოდ გმირულად სიკვდილი. არც ერთ ნაბიჯს არ უთმობდენ მტერს კომუნარები უბრძოლველად, ვინაიდან მათ კარგათ იცოდენ, რომ მეტი გამოსავალი არ არის გარდა კომუნისთვის ღირსეული სიკვდილისა.

28 მაისს აღებულ იქნა უკანასკნელი ბარიკადა. ბურჟუაზიამ გამართა სისხლიანა ზეიმი კომუნარების გვამებზე.

ოცდაათი ათასამდე მუშა და ხელოსანი დაიღუპა ბარიკადებზე. დახვრიტეს და მხეცურად აწამეს მრავალი მშრომელი. 15 ათასი კაცი გადაასახლეს ხანგრძლივ წამებაზე კალედონიაში.

**დღის მნიშვნელობა.**

პარიზის კომუნა დაიღუპა, რადგანაც მუშათა კლასი [...] დევ არ იყო მომზადებულ[...] დიქტატურისთვის და არ ჰყ[...] ვდა მას შეკავშირებული პა[...] ტია. მაგრამ კომუნის ხსოვ[...] საუკუნოდ იცოცხლებს მთელ[...] ქვეყნის მუშათა გულში.

კომუნის ისტორიამ დაა[...] წმუნა მუშები იმაში, რომ ბ[...] რჟუაზიულ კლასებს შორის [...] არის სადაო საკითხი, მათ შ[...] რის არ არის „მტრები", რო[...] ცა საქმე მიდგება მუშათა მო[...] რაობის ჩახშობაზე.

პირიქით ბურჟუაზიის წინ[...] აღმდეგ ბრძოლაში მუშა[...] კლასის ინტერესები ერთი [...] იგივეა. პარიზის კომუნას შ[...] ეწირა პოლონელები: დომბრო[...] ვსკი, ვსუბლევსკი, რუსი რე[...] ვოლიუციონერები: ლავრო[...] საეინი და დმიტრიევა.

პარიზის კომუნამ დაასწავლ[...] მუშათა კლასს გმირული ბ[...] ძოლა თავისი ინტერესები[...] თვის და უჩვენა გზა გამა[...] ჯვებისაკენ. რუსეთის ოქტო[...] ბრის რევოლიუცია მუშა[...] რევოლიუციის პირველი გამ[...] რჯვება იყო. მსოფლიო კო[...] მუნა მუშათა კლასის უკანა[...] კნელი გამარჯვება იქნება.

**რ. შეისკი.**



## პარიზის კომუნის 54 წლის თავი.

54 წლის წინად 18 მარტს 1871 წ. პარიზის ქუჩებში ბარიკადებზე, შეუპოვრად აფრიალდა თავისუფლების დროშა, იბრძოდა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე მუშათა კლასი, რათა თავი დაეღწია გამხეცებულ ბურჟუაზიისაგან.

დამარცხდა პარიზის კომუნა. მან იმსხვერპლა ოცდაათი ათასზე მეტი მუშა. არ დაინდვეს. გენერალ გალიფეს სიმხეცემ იმსხვერპლა ყველა ვინც კი მონაწილეობა მიიღო პროლეტარიატის განმანთავისუფლებელ ბრძოლაში. შრომის განთავისუფლების ცდებმა, უშედეგოთ ჩაიარა. ბურჟუაზიამ შესძლო დროებით შეეჩერებია იგი.

მაგრამ პროლეტარიატი დამარცხებით არ მომკვდარა, არ გაქარწყლებულა მისი იდეები. მან ფრთები გაშალა. პარიზის პროლეტარიატის გმირობამ თანდათან დარაზმა და შეაკავშირა მუშათა კლასი.

დღეს ბურჟუაზია თავის არსებობის უკანასკნელ წუთების მოლოდინში გამხეცებულ ბრძოლას აწარმოებს მუშათა კლასის წინააღმდეგ. მას მხარს უმშვენებს მისი ერთგული და გაწყრილი თანამშრომელი მუშათა კლასის გამყიდველი სოციალ—დემოკრატია.

დღეს—პარიზი, სადაც 54 წლის წინად აფრიალდა თავისუფლების წითელი დროშა, წარმოადგენს მსოფლიო რეაქციის ბუდეს, რომელშიაც შეუბრალებლათ იტანჯება მუშები.

პარიზის კომუნის 54 წლის თავზე, ჩვენ ძმურად უწვდით ძმური დახმარების ხელს იმ მუშა ტყვეებს, რომლებიც მსოფლიო პროლეტარიატის მიზნებისთვის იტანჯებიან ევროპის ბურჟუაზიულ ქვეყნების ციხეებში.

გაუმარჯოს მსფლიო კომუნას.

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციისთვის მებრძოლთა დამხმარე ორგანიზაციას.

სამხკორი ლ. გიორგაძე.

## პარიზის კომუნის ხსოვნას.

სისხლის ფერ მარშით ამაყ კომუნამ
ფრთები შეასხა გაბედულ პარიზს;
და მთელ მსოფლიოს მოედო მღერა
სისხლში გაბანილ წითელი ჯარის.

—

დაიმსხვრა კერპი ბურჟუაზიის...
—ჯალათთა ურდო მაინც სისინებს
და ბარიკადზედ დამარცხებული
გმირი პარიზი სისხლში ქვითინებს.

—

პირველნო მსხვერპლნო—პირველ კომუნის,
ჩვენ გავიმარჯვეთ შურის ძიებით;
ბევრ ქვეყანას ღავსკით თავზარი,
თქვენი საფლავი მოვრთეთ იებით.

—

იძინეთ მშვიდათ, თქვენს საფლავებთან
წითელი დროშა ახლოს ფრიალებს
და თქვენს ჯალათებს წითელი ჯარი
სულ ახლო ხანში გაატიალებს.

ალ. გიოშვილი.

## საყურადღებო საღამო.

16 მარტს, ქართულ დივიზიის ცენტრალურ კლუბში, ოქტომბრის და პარიზის კომუნის დღესთან შეფარდებით თავის არსებობიდან ორი წლის აღსანიშნავად, მეორე სტამბის 4-ხე კომუჯრედმა მოაწყო საღამო, რომელსაც დაესწრენ თბილისის ყველა სტამბის მუშები, მათი ოჯახები, მუშა ქალები, კომკავშირლები, პიონერები და ზემო მოყვანილ უჯრედზე მიმაგრებული ქართულ მეთაურთა სკოლის კურსანტები.

კრებას თავმჯდომარეობდა ამავე უჯრედის მდივანი ამხ. მნ. მირზეგოვი.

მისალოცი სიტყვებით გამოვიდენ შემდეგი ამხანაგები: 1. ქ. დივ. პოლიტგანიდან ვ. სიხარულიძე. 2). დევდარიანი—ქართულ შეერთებულ სამხედრო სკოლიდან; 3. ვაშალომიძე ამავე სკოლიდან; 4. ხ. არეშოვი—მბეჭდავთა კავშირიდან; 5. ი. შედაშვილი—ჟურნ. „თეატრი და ცხოვრებიდან." 6. ელბექვერი—პიონერთა კოლექტივიდან; 7. მინდიაშვილი—კომკავშირიდან; 8. ზურდენი—ცეკავშირის სტამბიდან; 9. შიხმანი—მეპედიციიდან; 10 კორიუმი—გაზ. „მარტაკოჩიდან"; 11. დავიდოვი მე-5 სტამბ დან და მრავალი სხვა.

ყველა ორატორებმა აღნიშნეს მე-4 კომუჯრედის ღვაწლი ლენინიზმის განმტკიცებაში. შემდეგ უჯრედის ბიუროს წევრმა ამხ. როსტომოვმა გააკეთა მოკლე მიმოხილვა უჯრედის მუშაობის შესახებ.

მეორე განყოფილებაში, ქართულ მეთაურთა სკოლის ცხენოსან ასეულის დრამატიულ ძალებით წარმოდგენილ იქნა პირველი მოქმედება მბეჭდავ მუშათა ცხოვრებიდან: „სტამბაში", რომელიც ზოგიერთი წვრილმანების გამოკლებით კარგად ჩატარდა.

მესამე განყოფილება იყო საკონცერტო. მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო კონსერვატორის ძალებმა და კავსაძის გუნდმა. განყოფილებაში მონაწილეობას იღებდენ აგრეთვე კურსანტი მომღერლები. ძლიერ კარგი იყო მათ მიერ შესრულებული ტრიო და ფანდური. რამდენიმეჯერ იქმნენ გამოძახებული ნასიამოვნებ დამსწრეთა მიერ...

საღამოზე უკრავდა მეთაურთა სკოლის მუსიკა.

ს—ნ.

## ჩვენს სამხკორთა შორის·

### ქართულ მეთაურთა სკოლა.

ამას წინად მოხდა სკოლის კორესპონდენტთა კრება. დაესწრო 35-დე კორესპონდენტი.

განსარჩევი იყო შემდეგი საკითხები: 1. რედ-კოლეგიის არჩევა და 2. მიმდინარე საკითხები.

სარედაქციო კოლეგია არჩეული იქნა კორესპონდენტებისაგან. რედკოლეგიაში შედის ათი კორესპონდენტი მათ შორის კლუბის გამგის თანაშემწე.

მიმდინარე საკითხებში განმარტებული იქნა, თუ როგორ უნდა გააგზავნონ წერილები კორესპონდენტებმა სხვა და სხვა გაზეთებში. კრებამ დაადგინა, რომ სამხკორებმა უნდა გადასცენ თავიანთი წერილები სკოლის პ. მგ. სამხკორს, ახკორები სკოლის ახკორს, პარტკორები კი სკოლის პარტკორს და ეს უკანასკნელები კი გადააგზავნიან მათ დანიშნულებისამებრ. სკოლის კედლის გაზეთისათვის კი ყველა წერილები გადაეცემა რედ კოლეგიას.

შემდეგ მოხდა რედ კოლეგიის სხდომა, რომელზედაც გადაწყდა რათა ყველა რედ-კოლეგიის წევრმა თავიანთ ასეულებში და განყ. ჩაატარონ პრესის კვირეული.

ამხ. კლუბის გამგის შარაშენიძის წინადადებით კრებამ დაადგინა გამოსცვალოს კედლის გაზეთის სახელწოდება. სხდომამ ერთხმათ მიიღო ეს წინადადება.

გადაწყდა 18 მარტისთვის გამოშვებული იქნეს გაზეთი, რომელშიაც დათმობილი ექნება ადგილი ყველა განყოფილებებს. გაზეთს უნდა მიეცეს უფრო მეტი მხატვრული სახე, რომ მან მიაღწიოს თავის დანიშნულებას და არა ისე როგორც ეს იყო ძველი რედ-კოლეგიის დროს.

სკოლის გაზეთს უნდა ჰყავდეს საკუთარი სამხკორები, ახკორები, და პარტკორები.

აგრეთვე განზრახულია რედ-კოლეგიის სხდომა 20 მარტისთვის.

უსურვებ ახალ კოლეგიას პირნათლად გაძღოლოდეს ამ დიდ საქმეს.

სამხკორი ჰ. ახათიანი.

## საჭიროა წრეების ამოქმედება.

უნცროს მეთაურთა საარტილერიო სკოლაში დიდი წარმატებით მიმდინარეობს სამხედრო მეცადინეობა. ასევეა პოლიტსაათებშიც, რომლებსაც დიდი გულმოდგინეობით ეკიდებიან კურსანტები. ჟურნალ-გაზეთები სისტემატიურად მოგვდის. არც ერთი წერა კითხვის უცოდინარი არ არის ჩვენს სკოლაში. მხოლოდ ერთი გარემოება მოითხოვს დაუყონებლივ ყურადღების მიქცევას. ჩვენი წრეების მუშაობა მეტისმეტად შენელდა. ხელმძღვანელები ვერ იჩენენ სათანადო ენერგიულობას. მხოლოდ ერთად-ერთი პოლიტ-წრე შეუდგა მუშაობას.

წრეებში წარმოებული მუშაობა ძლიერ აადვილებს საერთოდ მეცადინეობას. სწორედ ამიტომაა საჭირო მისი ამოქმედება. იმედია გამოცოცხლდებიან ჩვენი წრეების ხელმძღვანელები.

სკოლაში არა გვყავს აგრეთვე პარიკმახერი. საჭიროა ამასაც ყურადღება მიექცეს და მოიყვანონ სკოლაში ერთი პარიკმახერიც.

სამხკორი ს. ძიროვნელი.

## ჩვენი კავშირი მუშებთან.

13 მარტს 6-სე ლეგიონის პირველი და მეორე კომუჯრედის სრული შემადგენლობა გაემგზავრა წყალსადენის მუშებთან.

საერთო პარტიული დღის აღსანიშნავათ, წყალსადენის მუშათა კლუბის დარბაზში შესდგა გაერთიანებული პარტიული კრება. დღის წესრიგში იყო მეტად მნიშვნელოვანი საკითხი: საკავშირო რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მე 3 სესიის მუშაობა.

მოხსენება გააკეთა მუშამ ამხ. ხოჯოევმა, რომელმაც აღნიშნა ცაკის მორიგი სესიის ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ცენტრალურ ქალაქში მოწვევის მნიშვნელობა და შემდეგ კი შეუდგა სესიის ნამუშევარის დაწვრილებით აღნუსხვას. მოხსენება ყველასათვის გასაგები იყო და კარგი შთაბეჭდილებაც დასტოვა.

მომხსენებელს მრავალი შეკითხვები მისცეს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია წითელ-არმიელთა აქტიური მონაწილეობა შეკითხვების სახით.

კრებამ მოხსენების ირგვლივ გამოიტანა სათანადო რეზოლიუცია, რაშიდაც აღნიშნულია, რომ ლეგიონის პარტამხანაგების შემადგენლობა წყალსადენის მუშათა კომუჯრედის შემადგენლობასთან ერთად, ესალმება მოკავშირე რესპუბლიკების ცაკის აქ ჩამოსვლას.

ვ. ლორთქიფანიძე.

# პარტიული ცხოვრება.

## ცოტა რამ პარტ-ეთიკაზე.

პარტიის ზოგიერთ წევრს სუსტი წარმოდგენა აქვს პარტიის ეთიკაზე და მის დისციპლინაზე, რაც ხელს უშლის პარტიის ავტორიტეტის ამაღლებას უპარტიოთა შორის. პარტიის წევრს ასე აქვს წარმოდგენილი, რომ თუ მას პარტიული მანდატი ჯიბეში უდევს, მაშინ ის ყველაფერის შემძლებელია და ან მისგანაა დამოკიდებული ყველაფერი. ამავე დროს ის თუ რაიმე დანაშაულობას სჩადის, მას ვერ ამჩნევს, რადგან მისთვის, როგორც პარტიის წევრისათვის წარმოუდგენელია, თუ ის რაიმეში შეცთება და უკანონოთ მოიქცევა. ასეთი დაუკვირებელ და მოუფიქრებლობას ხშირათ დიდი ზიანი მოაქვს პარტიისათვის.

პარტიის ეთიკის და დისციპლინის დარღვევაზედ მოვიყვანთ ორი მაგალითს. ერთი მათგანი უკვე გამოქვეყნებული იყო გაზეთ „კომუნისტის № 60-ში; მეორე ანალოგიური მოვლენას ქონდა ადგილი ჩვენი სამხედრო კოოპერატივის სახერხ ქარხანაში ორ მომუშავეს შორის. მომქმედნი პირნი არიან პარტიული წოწორია, რომელიც ამხ. ლენინის გაწვევაზე იყო მიღებული პარტიაში, და უფროსი მუშა მეიხი. ეს აღნიშნული პირები ერთად იყვნენ საერთო კრებაზე, საიდანაც ერთად წამოსულან. გზაში რაღაცაზედ დაეწყოთ ლაპარაკი და საქმე იქამდის მივიდა, რომ ჯერ ცოტა ხელით შეეხენ და შემდეგ პარტიულმა წოწორიამ მიმართა იარაღს, რომლის საშვალებით სურდა საქმის მოგვარება და შედეგათ მივიღეთ ამ უპარტიო მუშის რევოლვერით დაჭრა.

საჭირო არ არის მთელი სინამდვილის აღდგენა რადგანაც ფაქტი ცხადყოფს, რომ პარტიულმა უპარტიო მუშა დასჭრა რევოლვერის ორი ტყვიით.

აქ ჩვენ უფრო გვაინტერესებს თვით პარტიულის თავდაჭერა, მისი მხრივ შეგნების გამოჩენა ასეთ მოქმედებაში, რასაც ამ შემთხვევაში ადგილი არ ქონია მიუხედავად იმისა, რომ მასთან ყოფილა პასუხისმგებელი ამხანაგი, რომელსაც წინადადება მიუცია მისთვის არ ესროლა რევოლვერი, მაგრამ წოწორიამ არ მოუსმინა თავის პარტიულ ამხანაგს და ჩაიდინა თვითგასამართლების აქტი, რაც ყოვლად დაუშვებელია პარტიის წევრისათვის. წოწორია არის მუშა, მაგრამ პარტიის ყველა წევრებმა კარგათ უნდა იცოდეს, რომ დანაშაულის ჩადენისათვის ყველა პასუხს აგებს, როგორც პარტიული წესით აგრეთვე სასამართლოს წესით. ჩვენს, კომუნისტური პარტიის, რიგებში არ გავაჩერებთ ისეთ არამზადებს, რომლის მოქმედება სახელს გაუტეხს მუშების და გლეხების დამცველს პარტიას. ასეთებს რკინის ცოცხით გავაძევებთ პარტიის რიგებიდგან და დავსჯით კიდეც რევოლიუციონური კანონიერების მთელი სისასტიკით.

პარტიის წევრი ყოველთვის უნდა იყოს თავდაჭერილი მომთმენი წინდახედული. ის მუდამ, თითეულ ნაბიჯის გადადგმაში უნდა ხელმძღვანელობდეს პარტიის ინტერესებით.

აღნიშნული მოთხოვნილების დაცვის გარეშე, არას დროს არ გახდება კარგი პარტიული მოღვაწე პარტიის წევრი. დივიზიის პარტიული კომისია თავის მხრივ შეეცდება ნაკლები წოწორიები იყოლიოს პარტიის რიგებში.

ს. ლომიძე.

## სამნეო დარგის საკითხები

### დღიური კერძის სარჩოს ფულის განაწილება, კომპენსაცია პირადი ულუფის და საოჯახო დახმარების მაგიერ.

უფროსთა შემადგენლობის დასაკმაყოფილებლად, განაწილება დღიური კერძის სარჩოს ფულისა, აგრეთვე კომპენსაციისა პირადი ულუფის და საოჯახო დახმარების მაგიერ—სწარმოებს ყოველ მიმდინარე თვის 15-ში მომავალი თვისთვის (მაგ. 15 მარტში—15 აპრილისთვის, 15 აპრილში 15 მაისისთვის და სხვა.), ამიტომ შუამდგომლობა და საბუთები, რომელიც წარმოდგენილ იქნება აღნიშნულ რიცხვის შემდეგ, მხედველობაში მიიღება მხოლოდ მომავალ თვეში; გამონაკლისს შეადგენს სასწრაფო შემთხვევები, როდესაც აღნიშნული ფული გაიცემა რიგს გარეშე.

ჯარის ნაწილებში შემჩნეულია შემთხვევები, როდესაც უფროსთა შემადგენლობა თავიანთი სურვილით ერთს თვეში ირიცხებიან ნატურალური ულუფის მაგიერ ფულის კომპენსაციაზე და მეორე თვეში იგივე პირები ისევ ნატურალურ ულუფაზე. თითქმის იმნაირ შემთხვევებსაც აქვთ ადგილი, რო-

დესაც თვის განმავლობაში ერთეული ერთსა და იგივე პირს პირველ ნახევრის თვისას აძლევს ულუფას ნატურით და მეორე ნახევრისას კი ფულად.

ამნაირი მოვლენანი უნდა ჩაითვალოს ყოვლად დაუშვებლად და ის უფროსთა შემადგენლობის პიროვნება, რომელიც განაცხადებს სურვილს კმაყოფას ამა თუ იმ განსაზღვრული სახის მიღებისას (ე. ი. ნატურით ან ფულით) უნდა საბოლოოდ ჩაირიცხოს იმ სახის კმაყოფაზე და მისი უკან გადმოყვანა აღარას გზით არ შეიძლება, გარდა, რასაკვირველია განსაკუთრებული შემთხვევებისა, მაგალითად, როგორცაა ერთეულის ბინადრობის გამოცვლა და სხვა ამ გვარი.

**ჯარის ნაწილის დაშლის გამო მისი ანგარიშების გასინჯვა-შემოწმება.**

მუშათა და გლეხთა წითელი ლაშქრის მომარაგების უფროსის ა. წ. 13 თებერ. № 28 ბრძანების თანახმად ხაჭიროა ოლქების (ფრონტების, ცალკე არმიების) უფროსების ბრძანებით აუცილებლივ მოხდეს ჯარის ნაწილების დაშლის დროს, მათი ანგარიშების გასინჯვა—შემოწმება და ბოროტ-მოქმედების აღმოჩენის შემთხვევაში დამნაშავე იქმნას მიცემული პასუხის გებაში.

**ერთეულების მიერ ხორცს დამზადების საბუთების თავის დროზე წარმოუდგენლობაზე.**

ზოგიერთი ჯარის ნაწილები, რომლებიც თვითონ იმზადებენ თავიანთვის ხორცს, თხოულობენ „მიასოტორგი“-დან ფულ და არ ურდგენენ მას ფორმალურ საბუთებს (ჩეკის მოთხოვნილებებს და კომისიის ოქმებს ხორცის ავ-კარგიანობაზე) მიღებულ ავანსის დახარჯვაზე, რომელი გარემოებაც აძულებს „მიასოტორგ“-ს, უარი უთხრას ჯარის ნაწილებს ახალი ავანსის გაცემაზე, რის გამო მიმღებნი ხელცარიელნი ბრუნდებიან თავიანთ ერთეულებში. ამიტომ საჭიროა ერთხელ და სამუდამოთ შეიგნონ ყველა ნაწილებმა, რომ ახალი ავანსის გაცემა შეიძლება ზემოაღნიშნულ საბუთების წარდგენის შემდეგ.

**№99 ფორმას მოხსენებებში უნდა იყოს ნაჩვენები კერძის სარჩოს საჭიროებისათვის გაცემულ თანხების მდგომარეობაზე.**

№ 99 ფორმის მოხსენებებში უნდა აუცილებლივ იყოს შემდეგი ცნობები:

1. სახელდობრ რამდენი იყო მიღებული დამაკმაყოფილებელ ორგანოდან.

2. რამდენი ეკუთვნოდა ერთეულს მთელი თვის განმავლობაში მჭამელთა რიცხვის და არსებულ კერძი სარჩოს ნორმის მიხედვით.

3. ნაშთი რომელიც უნდა ჩაერიცხოს ერთეულს ან დანაკლისი.

ის ერთეულები, რომელთაც თავიანთ მოხსენებებში (ოქტომბრიდან—იანვრამდე) არ უჩვენებიათ აღნიშნული ცნობები, ვალდებულნი არიან აჩვენონ იგი შემდეგ მორიგ № 99 მოხსენებაში.

ს. შაკუნი.

# სამხედრო საქმე

## შეისწავლეთ სამხედრო საინჟინერო საქმე.

### ბუდეები და უჯრედები.

შეტევის დროს წარმატებისათვის აუცილებელია ჩქარი და შეუპოვარი წინსვლა, მაგრამ თანამედროვე ცეცხლის ძალა საგრძნობლათ ზღუდავს ასეთ შემთხვევებს.

გადამწყვეტი დარტყმისათვის მოწზადების აუცილებლობა აიძულებს ხანდახან ჯარს შეჩერდეს ზოგიერთ ზღუდეებზე.

შეჩერდებიან რა ასეთ ზღუდეებზე ყოველთვის ცდილობენ ტყვიამფრქვეველები და ავტომატები დასდგან ისეთ ადგილას საიდანაც შეიძლება ამოცანის შესრულება, შეუფერხებლათ ცეცხლის წარმოება, სადაც ტყვიამფრქვეველი და ავტომატები შეუმჩნეველი იქნება და იმავე დროს უკანასკნელს უპოვიან სათანადო საფარს.

პოზიციებზე ყოველგვარი ადგილობრივი საგნები გამოყენებულ უნდა იქმნას ამ მიზნით და იმ შემთხვევაში, როდესაც პოზიციაზე ასეთი არ მოიპოვება უნდა მიმართოთ პატარა ნიჩბებს და მათი საშუალებით შექმნათ ისეთი პირობები, რომ ტყვია მფრქვეველები არ იქმნან შემჩნეული მტრის მიერ და იმავე დროს საშუალება ქონდეს ცეცხლის წარმოებისა.

უნდა შექმნათ დასაყრდნობი ადგილები.

ამ გვარათ გასწორებული მომარჯვებული და შენიღბვული ადგილი ტყვია მფრქვეველებისათვის იწოდებიან მათ ბუდეებათ.

თავდაპირველათ ასეთი ბუდეები კეთდება წოლილა სროლისათვის, მაგრამ გარემოების და მიხედვით შესაძლებელია ბუდეების გაკეთება, როგორც ჩოქილა ისე დგომილა სროლისათვის.

მსროლელები ზღუდეზე, თუ კი რომ ისინი ღებულობენ მონაწილეობას შემდეგი შეტევის მომზადებაში, უპირველეს ყოვლისა შეენიღბებიან, თუ არა, უნდა გაიკეთონ თავისთვის შამხანა თოფის დასაყრდნობი და საფარი.

თვითეული მსროლელი თავისი პატარა ნიჩბის საშუალებით მოთხრის თავის წინ მიწას, ამონაღებ მიწას იქვე დაყრის და ამგვარათ დაყრილი მიწის მოვარვით და ზედ შამხანა თოფის მოწყობით შექმნის ერთგვარ სასროლ უჯრედს ანუ უჯრედს წოლილა სროლისათვის.

თუ საშუალება და გარემოება ხელს შეუწყობს შესაძლებელია ასეთი უჯრედების უფრო გაღრმავება, ზედმეტი თხრილის მოთხრა და ამ რიგათ მივიღებთ უკვე უჯრედს ჩოქილა სროლისათვის.

თუ კი რომ კიდევ უფრო გავაღრმავებთ ასეთ უჯრედებს მივიღებთ უჯრედებს დგომილა სროლისათვის.

უმჯობეს მმართვისათვის, ვაზნების მოწოდებისათვის, დაჭრილების საჩქაროთ დახმარების აღმოჩენისათვის საჭიროა, რომ ათეულების უჯრედებს შორის იქმნას აგებული ფარული მიმოსვლის საშუალებანი, ესე იგი, შეიძლებოდეს ერთი ათეულიდან მეორე ათეულში შეუმჩნევლად გადასვლა.

იმ შემთხვევაში როდესაც საამისო საშუალებანი არ მოიპოვება ადგილობრივათ, ან და ერთ და იმავე ადგილზე უხთებათ რამდენიმე ხნით შეჩერება და საშუალება არის მუშაობა აწარმოვოთ, თვითეული ანუ ინდივიდუალური უჯრედები უნდა შეერთდეს მიმოსვლისათვის **თხრილებით**. ეს თხრილები შეიძლება იქმნეს უფრო ნაკლები. უკანასკნელ შემთხვევაში მიმოსვლა უჯრედებთა შორის წარმოებს დაკუნცხული ან კიდევ ფორთხვით.

უჯრედები და მათი შემაერთებელი თხრილები აუცილებლათ უნდა შენიღბული და მოფარული უნდა იყოს მტრის თვალთვალისა და ცეცხლისაგან.

ამგვარათ **სასროლი სანგარი**, ეწოდება ისეთ საველე ნაშენს, რომელიც იძლევა ცეცხლის წარმოების საშუალებას, მტრის თვალთვალისა და ცეცხლისაგან საფარს და კედაროზე ფარულ მიმოსვლის საშუალებას.

ასეთი სანგრები არიან ჩოქილა სროლისათვის, დგომილა სროლისათვის.

შ. გ.

# საბჭოთა არჩევნების მიმდინარეობა.

## შორაპნის მაზრაში.

— **შორაპანი.** ადგილობრივ საბჭოში აირჩიეს 59 წევრი. მათ შორის 7 კომუნისტია, 2 ახკომკავშირელი და 5 ქალი.

— **კიცხის თემი.** სათემო საბჭოში აირჩიეს 62 წევრი. აქედან 10 კომუნისტი, 13 ახკომკავშირელი და 3 ქალი.

— **კლდეეთის თემი.** სათემო საბჭოში აირჩიეს 82 დეპუტატი. მათ შორის 8 კომუნისტია, 8 ახკომკავშირელი და 14 ქალი.

— **სარქველეთის უბანის** საბჭოში აირჩიეს 15 წევრი. მათ შორის 2 კომუნისტია და 2 ქალი.

## გურიაში.

— **ხიდის თავის თემი.** სათემო საბჭოში აირჩიეს 62 დეპუტატი, აქედან 38 კომუნისტია და 10 ქალი.

— **ასკანის თემი.** ასკანის სათემო საბჭოში გავიდა 37 დეპუტატი. მათ შორის 8 კომუნისტი და 5 ქალი.

— **ჯვარცხმის თემში.** აირჩიეს საბჭო 22 წევრის შემადგენლობით მათ შორის 3 ქალია.

— **ბუკნარის თემი.** აირჩიეს საბჭო 9 წევრის შემადგენლობით. მათ შორის 2 კომუნისტია და 2 ქალი.

— **ამაღლების თემი.** სათემო საბჭოში აირჩიეს 46 წევრი. მათ შორის 14 კომუნისტი და 7 ქალი.

# ამბები სოფლებიდან

**გლეხთა სახლს აშენებენ.**

ცხინვალში გლეხთა სახლის ასაშენებლათ უკვე არჩეულია საამშენებლო ტეხნიკური კომისია.

**სოფლის გეგმაზე გასაშენებლათ.**

სამხ.-ოსეთის ცაკმა აირჩია კომისია სოფ. ცუნარის დასაგეგმავათ. აღნიშნული სოფელი იქნება გაშენებული სანიმუშოთ.

**უპატრონო ბავშვთა დამხმარე საზოგადოება.**

ქალ. ცხინვალში დაარსდა უპატრონო ბავშვთა დამხმარე საზოგადოება.

**ჰლექიანების ამბულატორია ქუთაისში.**

ქუთაისში გაიხსნა ჰლექის საექიმო ამბულატორია, რაიც პირველია დასავლეთ საქართველოში.

**ცხინვალის გამშვენიერება.**

სამხ.-ოსეთის ცაკმა. აირჩია კომისია, რომელსაც დაევალა ცხინვალის ხელ-ახალი დაგეგმვა და ქუჩების გამშვენიერება.

**უმუშევრობასთან ბრძოლა.**

უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით ქალ. სამტრედიაში დაარსდა შრომის კოლექტივი, რომელშიაც მუშაობს 40 კაცი.

# სამხედრო ტრიბუნალი.

16 მარტს ქართულ სამხედრო ტრიბუნალმა განიხილა ქ. დუშეთის განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილის ასეულის მეკუჭნავის შალვა ლევანის-ძე ზაქარიაშვილის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა მასზე ჩაბარებულ სახაზინო ქონების მითვისება და გაფლანგვა.

საქმის გარემოება ასეთია: ბრალდებული ზაქარიაშვილი ყოფილა დანიშნული დუშეთის განსაკუთრებულ დანიშნულების ასეულში 1924 წლის მარტიდან და ასრულებდა მეკუჭნავის თანამდებობას. ის სისტემატიურად ითვისებდა სახაზინო ქონებას, ფლანგავდა მასზე გაცემულ სახმარათ სახაზინო ნივთებს. ზაქარიაშვილს გამოურთმევია მრეცხავი ქალი პეტრუსოვასთვის მეთაურ ჰელიძის თბილი საცვალი და მიუთვისებია მასთან ერთად მეთაურ ჰელიძის ერთი ქვედა საცვალი. ბრალდებულმა იცნო თავი დამნაშავეთ და განაცხადა, რომ მატერიალურ აუტანელ მდგომარეობის გამო იძულებული იყო სახაზინო ნივთები გაეყიდა. სასამართლომ დამტკიცებულად სცნო მასზე წაყენებული ბრალდებები და მიუსაჯა მას სასჯელთა შეერთების სახით თავისუფლების აღკვეთა გამასწორებელ სახლში მოთავსებით ორი წლის ვადით უფლებების შეუზღუდველად.

გნ ი.

# ახალი ამბები.

— **უმუშევარ ყოფილ წითელ არმიელთათვის.** შრომის კოლექტივების გამგეობა უმუშევარ წითელ არმიელთათვის ხსნის სასოფლო—სამეურნეო კოლექტივს.

— **დახმარება ავადმყოფ მუშებს.** ტფილისის დამზღვევმა კასამ დაურიგა დახმარების სახით ავადმყოფ მუშებს 52.741 მანეთი.

— **ტფილისის საჯირითო** მოედნის გარშემო მიწად მოქ. კომისარიატი შეუდგა ხეების დარგვას, რაინც აღნიშნულ მოედანს გამოადგება, როგორც ლობე.

— **ბინები ქალაქებში.** სტატისტიკური ცნობით საქართველოს ყველა ქალაქებში ითვლება 98.214 ბინა.

— **ტყის კვირეული.** მიწატყის მუშაკთა კავშირმა და მიწ.-მოქ. კომისარიატის სატყეო განყოფილებამ გადასწყვიტა ჩაატარონ მთელ საქართველოში ტყის კვირეული მარტის ბოლო რიცხვებში.

— **ტრამვაის სახელოსნოებში** ამ ჟამად სწარმოებს სადურგლო ცეხის გაფართოება, ტრამვაის ვაგონების რიცხვის გამრავლების მიზნით.

## ხელოვნება.

— **„ახალი კავკასიონი“** დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა სრ. საქ. მწერალთა კავშირის ჟურნალი „ახალი კავკასიონი.

— **ზოოლოგიური ბაღის მოსაწყობად.** საქ. გან. კომისარიატმა მოიწვია ცობილი ზოოლოგი ვლ. დუროვი.

# პასუხი შეკითხვებზე.

## კითხვა

დაბადებული ვარ 1900 წელში, თავის დროზე მე ჯარში არ ვყოფილვარ გაწვეული, რადგან საამისო შეღავათი მივიღე სახალხო მასწავლებლობის გამო. 1924 წლის 25 მაისს გამიწვიეს 1902 წელში დაბადებულებთან ერთად. 1924 წელში იყო ბრძანება სამხ. რევ. საბჭ. № 937 და ბრ. წ. დრ. არმიისადმი № 370, ამავე წლის აგვისტოში, რომლის ძალით გაუშვეს ჩემი ტოლნი, მე კი არა.

გთხოვთ ამიხსნათ თუ რა მიზეზით?

წ. არ. **მიშა მეტრეველი.**

## პასუხი.

რევ. სამხ. საბჭ. ბრძანება № 937 თქვენ არ განთავისუფლებს სამხედრო მოვალეობის ასრულებიდან. თქვენ დაასრულებთ სამხედრო სამსახურის ვადას, თქვენთან ერთად გამოწვეულებთან ე. ი. გაგიშვებენ მაშინ როდესაც 1902 წელში დაბადებულებსაც.

# განცხადებები.

## ვის აქვს საწინააღმდეგო.

„ევკოგრუზი“-ს ხე-ტყის ქარხნის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება პარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ, ცხენოსანი ლეგიონის კოოპერატივის გამგეს ამხ. მიხეილ ფირცხალაშვილს.

ვისაც მის შესახებ მოეპოება რაიმე საწინააღმდეგო ცნობები, ვსთხოვთ გვაცნობოთ წერილობით „ევკოგრუზი“-ს კომუჯრედში ვერის დაღმართი № 12, არა უგვიანეს ერთი კვირისა.

„ევკოგრუზი“-ს ხე-ტყის ქარხნის კომუჯრედის პასუხისმგებელი მდივანი **ელ. კალანდაძე.**

## ახ. კომკავშირის ქალაქის რაიკომი.

აცხადებს, რომ შაბათს 21 მარტს საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში დანიშნულია მე-4-რაიკომის პლენუმი.

დაესწრება ყველა წევრებისა და კანდიდატებისა სავალდებულოა და დაუყოვნებლად.

პასუხის მგებელი მდივანი ს. **ბახტაძე.**